საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/823
10/02/2023

823-21-2-202302101931

შპს „აჭარა ფროფერთის“
მის: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, მცხეთის ქ. 18, სარდაფი
ელ. ფოსტა: adjarapropperties@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №835 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელ შინდისში 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტს (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა) და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობას და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონის/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს გამწმენდი ნაგებობის/ნაგებობების Shp ფაილები, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს გამწმენდი ნაგებობის/ნაგებობების განთავსების და ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ჩამდინარე წყლის გამწმენდი სისტემების მოწყობა დაგეგმილია ინდივიდუალურად ყველა საცხოვრებელ სახლთან ცალ-ცალკე. დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობების რაოდენობის, ასევე დაბინძურებული წყლის გამწმენდ ნაგებობამდე და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან წყალჩაშვების წერტილამდე მიყვანის ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო